რვა გაკვეთილიანი დროის რელეს- 67DDT9 (Pulse)-ს პროგრამირება

დროის გასასწორებლად დააჭირეთ საათის პიქტოგრამიან ღილაკს, გეჭიროთ და წუთების გასასწორებლად პარალელურად დააჭირეთ ღილაკს “M+“, ხოლო საათის გასასწორებლად პარალელურად დააჭირეთ ღილაკს „H+“.

გაკვეთილების განრიგის დროის გასასწორებლად/შესატანად დააჭირეთ ღილაკს „PR“, ეკრანზე გაჩნდება წარწერა მაგალითად „PL:07”, რაც მიუთითებს ზარის დარეკვის 7 წამიან ხანგრძლივობაზე, მის (წამების) შესაცვლელად გამოიყენეთ ღილაკი „M+”.

პირველი ზარის დარეკვის დროის გასასწორებლად/შესატანად კვლავ დააჭირეთ ღილაკს „PR”, ეკრანზე გაჩნდება ზარის დარეკვის დრო- საათისა და წუთის გამოსახულება. საათის შესაცვლელად გამოიყენეთ ღილაკი „H+”, ხოლო წუთის გასასწორებლად გამოიყენეთ ღილაკი „M+”. შემდეგ შეარჩიეთ ეს დრო კვირის რომელ დღეებზე უნდა გავრცელდეს, რისთვისაც უნდა გამოიყენოთ ღილაკი “D+” და დააჭირეთ იქამდე (ღილაკზე ყოველი დაჭერის დროს შეიცვლება კვირის დღეების კონფიგურაცია), ვიდრე არ მიიღებთ კვირის სასურველ დღეებს, რომელიც იწერება დროის მაჩვენებლის ზემოთ.

მომდევნო ზარის დასარეკი დროის გასასწორებლად კვლავ დააჭირეთ ღილაკს „PR” და შესაბამისად მეორე დროის გასასწორებლად გაიმეორეთ იგივე პროცედურა, როგორც პირველი დროის გასწორების დროს, და მიჰყევით ამგვარად ბოლო დროის ჩაწერამდე, ბოლოს (დასრულებისას) დააჭირეთ ღილაკს „PR” და პროგრამირებიდან გამოსასვლელად დააჭირეთ საათის პიქტოგრამიან ღილაკს. თუ გსურთ რომელიმე საგაკვეთილო დროის ამოშლა საერთოდ, გაიმეორეთ საათისა და წუთების გასწორების პროცედურა ისე, რომ საათებისა და წუთების ადგილზე გაჩნდეს
ორ-ორი ტირე „- -„ „- -„ .

თუ გსურთ ზარის ხელით დარეკვა, დააჭირეთ ღილაკს „MAN” იქამდე, ვიდრე ეკრანზე (დროის მაჩვენებლის ქვემოთ) არ დაიწერება “ON ON”, ხოლო ზარის გამორთვისთვის კვლავ დააჭირეთ ღილაკს “MAN”, სანამ ეკრანზე არ დაიწერება „OFF AUTO”. იმისათვის რომ, რელემ ავტომატურად (ავტომატურად დარეკოს ზარი) იმუშაოს პროგრამის (შეყვანილი დროების) შესაბამისად, ღილაკს “MAN” დააჭირეთ იქამდე, სანამ დროის ჩვენების ქვემოთ არ დაიწერება სიტყვები „OFF AUTO”. თუ გააჩენთ წარწერას „OFF OFF”, რელე შეწყვეტს ავტომატურ მუშაობას.

თუ დაგჭირდებათ კალენდრის გასწორება, ერთდროულად დააჭირეთ ღილაკებს “H+” და “M+”, ეკრანზე გაჩნდება წარწერა “DATE”, შემდეგ დააჭირეთ ღილაკს “M+“ და ღილაკით „D+”-თ გაასწორეთ წელი, შემდეგ კვლავ დააჭირეთ ღილაკს “M+“ და ღილაკით „D+”-თ გაასწორეთ თვე, შემდეგ კვლავ დააჭირეთ ღილაკს “M+“ და ღილაკით „D+”-თ გაასწორეთ კალენდარული რიცხვი. ამის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს “M+“ და ბოლოს დააჭირეთ საათის პიქტოგრამიან ღილაკს პროგრამირებიდან გამოსასვლელად.

გადატვირთვისთვის დააჭირეთ ღილაკს „RESET”, რის შედეგადაც მოწყობილობაში სრულად განულდება ყველა დაყენებული/შეყვანილი მონაცემი.

მოწყობილობაში ინტეგრირებული ლითიუმის ბატარეის სამუშაო ხანგრძლივობაა 3-4წელი.